ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 27 ოქტომბერი 1997 №134 (499) ფასი 30 თეთრი

გიორგი კანდელაკი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონი!



ეს დღეც გვეღირსა! არა ერთი და ორი წლის ლოდინის შემდეგ ჩვენი ოცნებაც ასრულდა — ქართველმა სპორტსმენმა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო. ეს ქართველი კი მოკრივე გიორგი კანდელაკია!

ამ ცხელ და გახარებულ გულზე სხვა რაღა ვთქვათ, თუ არა გიორგი კანდელაკის დიდი ნიჭისა. კაცმა ერთხანს გული აიყარა კრივზე, სპორტს თავიც მიანება, ბოლოს კი, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე მოიბრუნა საკრივოდ გული, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი თვე წაივარჯიშა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრა, სადაც გაფუფუნებული ქვეყნების გაზულუქებული წარმომადგენლები დახვდნენ. იძალა გიორგის ნიჭმა, ქართველმა მოკრივემ ოთხი ბრძოლა მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატის მძიმეწონოსანთა ფინალში კუბელ რუბალკაბას დახვდა. ვისაც კრივისა რამე გაეგება, ყველას ეგონა, ჩემპიონატის ყველაზე პრესტიჟულ წონაში რუბალკაბა მოიგებდა, რადგან ჯერ არ მომხდარა, ერთი წლის უვარჯიშებელ კაცს, მხოლოდ ერთთვიანი ხელების ქნევით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მოეგოს. გიორგი კანდელაკმა კრივის მცოდნეთა ეს პროგნოზიც გააბათილა და, ცოტა არ იყოს, ალოგიკურად მოიქცა. პირველსავე რაუნდში გიორგიმ ორი ქულა მოიპოვა, თავი არ გაუგიჟებია, დინჯად ებრძოდა მეტოქეს და რაუნდის ბოლომდე უპირატესობაც შეინარჩუნა. ორთაბრძოლის დაწყებისთანავე კუბელი უფრო აქტიურობდა, ამ შეხვედრის მაცქერალს ორიოდჯერ თვალი რომ განზე გაგქცეოდათ, მაშინ ვინლა დაგაჯერებდათ, რომ კანდელაკი კუბელს ჯაბნიდა. სწორედაც ეს ორიოდე მომენტი იყო, გულდინჯი და ბრძნულად მოჩხუბარი კანდელაკი ქულებს რომ იგებდა. მეორე რაუნდში ორს ერთი ქულაც მიუმატა, მესამე და მეოთხე რაუნდები ისე ჩამთავრდა, რუბალკაბამ კანდელაკს ხელებიც დაუღალა ვითომდა ცემით, მაგრამ თავდაცვის დიდოსტატმა კანდელაკმა ქულა არ დაუთმო კუბელს. მეტოქემ მეხუთე რაუნდშიღა შეძლო ერთადერთი ქულის აღება, თუმცა მალე ესაც გაუქვითა გიორგიმ და საბოლოოდ შეხვედრაც მოიგო — 4:1.

ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე 12 გამარჯვებული იყო, მაგრამ მათგან ერთადერთს შემოარტყეს ოქროს სარტყელი — მძიმეწონოსან გიორგი კანდელაკს. დანარჩენი 11 მსოფლიოს ჩემპიონი კი ოქროს მედლებს დააჯერეს.

გიორგი კანდელაკის გამარჯვება ქართული სპორტის დიდი გამარჯვებაა, 1991 წლის აქეთ მსოფლიოს ჩემპიონი რომ არ ღირსებია სპორტის ოლიმპიურ სახეობაში და, აჰა, ნავსიც გატყდა გიორგი კანდელაკის ლონიერი მარჯვენით. მაგრამ, ყველაფერს აქვს დასაბამი, მათ შორის, კრივიდან წასული გიორგი კანდელაკის მეორედ მოსვლასაც. რომ არა გიორგის მეუღლის ნინო ყანჩაველის მოწადინება, ალბათ, წელსაც ვერ ვეღირსებოდით მსოფლიოს ჩემპიონს. ნინომაც ეს მითხრა — მჯეროდა მოულლის ნიჭისა და ამიტომაც იყო, რომ გამუდმებით იმას დავძახოდი, გიორგი, კრივს თავი არ დაანებო, დიდი მოკრივე ხარო. არადა, გიორგიზე უკეთ ვინ უწყის მისი ავ-კარგის, მაგრამ თავადვე ამბობდა — ერთი თვის ვარჯიშით მსოფლიოს ჩემპიონები არ ხდებიანო.

გახდა! თავიც ისახელა და ჩვენც გვასახელა. ის, რასაც კრივში ლოგიკას ეძახიან, თავდაყირა დააყენა და ჩვენსაც და მსოფლიო კრივსაც ახალი და ჯერჯერობით ამოუცნობი ფენომენი აჩუქა — გიორგი კანდელაკი!

ლევან ჯავახიშვილი

გილოცავთ, გიორგი!

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობას ულოცავს გიორგი კანდელაკს!

ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახამია,
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო გურიელი,
ნანა იოსელიანი, ნინო ხურციძე,
მაია ჩიბურდანიძე

ქვეყანათა მონაგარი მსოფლიოს ჩემპიონატზე

	ო	ვ	ბ
რუსეთი	4	2	1
კუბა	3	4	3
უნგრეთი	2	0	0
რუმინეთი	1	0	2
საქართველო	1	0	1
უზბეკეთი	1	0	0
გერმანია	0	1	2
საფრანგეთი	0	1	1
ყაზახეთი	0	1	1
მონღოლეთი	0	1	0
უკრაინა	0	1	0
ფილიპინები	0	1	0
თურქეთი	0	0	2
არგენტინა	0	0	1
ბელარუსი	0	0	1
ბულგარეთი	0	0	1
დანია	0	0	1
ირლანდია	0	0	1
იტალია	0	0	1
კორეა	0	0	1
სლოვაკეთი	0	0	1
სომხეთი	0	0	1
ჩეხეთი	0	0	1
შვედეთი	0	0	1

გუშინ ლუცერნში, მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე მოასპარეზე ქართველი ქალები უკრაინელებს შეხვდნენ. ჩიბურდანიძემ ივანჩუკთან წააგო, არახამიამ — საჟენკოსთან, იოსელიანმა — ონიშჩუკთან, გურიელი კი ნოვიკოვს დაუზავდა. ჩვენებმა 0,5:3,5 წააგეს, მანამდე კი

ქართველმა ქალებმა შავი დღე აყარეს აზიის ჩემპიონებს — წერს გაზეთი *Blick*

ამასობაში მეორე ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: აშშ — ხორვატია 2:2, ყაზახეთი — კუბა 2,5:1,5, რუსეთი — სომხეთი 2:2, ინგლისი — შვეიცარია 2,5:1,5. პირველობას 5,5-5,5 ქულით ინგლისელები და რუსები ლიდერობენ, მომდევნონი 5-5 ქულით უკრაინა და აშშ არიან, 4,5 ქულა აქვთ სომხებს, 3-3 საქართველოს ხორვატიას და შვეიცარიას, 2 — კუბას.

თბილისი
„26 მაისი"
26 ოქტომბერი

ლოკომოტივი 2:0 სამგურალი

ლოკომოტივი: ვოლკოვი, ქვარცხავა, ქორქიკაშვილი, ბარნოვი, ბაქრაძე, კოტორაშვილი (მესხიძე 63), გ. კვეტენაძე, ქვალაძე, გვაზავა (დიმიტრიშვილი 71), გამცემლიძე, ენუქიძე (ერაძე 87)
სამგურალი: ბობოხიძე, დ. ქელიძე, გ. ვაშაკიძე, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, გიორგობიანი (ქუთათელაძე 79), სუხიაშვილი, ფხაკაძე, გელაშვილი (თევდორაძე 60), ქ. ჯანაშია
1:0 გვაზავა (49), 2:0 გამცემლიძე (76)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

მწვრთნელმა მოიგო

ვახტანგ ბზიკაძე

გუშინ „სამგურალმა" დიდი ანგარიშით რომ არ წააგო, თავის ახალგაზრდა მეკარეს უნდა უმადლოდეს. კიდევ მასპინძელ თავდამსხმელებს უნდა უმადლოდეს და, რა თქმა უნდა, განგებას.

ხშირია ისეთი მატჩები, ერთი მეორეს აშკარად რომ ჯაბნის, მაგრამ ასე? მეტოქის კარში ერთხელაც არ დაარტყა?

პირველი ტაიმი სულაც მოედნის ორ მესამედზე მიმდინარეობდა. ცხადია, ეს ფართობი სტუმართა ნახევარს მოიცავდა.

ერთადერთი, რაც ამ თამაშს სანახაობრივს ხდიდა, სტუმართა თავგანწირული თავდაცვა და მასპინძელთა თავქუდმოგლეჯილი შეტევები იყო. ოღონდ, დასაწყისში „ლოკომოტივის" იერიშები ქაოსური, დაულაგებელი ჩანდა. თბილისელები უფრო სტუმარ მცველთა შეცდომების გამოყენებას ლამობდნენ. პირველად ასეთი შესაძლებლობა მე-13 წუთზე მიეცათ: გელაშვილმა და ფხაკაძემ საკუთარ საჯარიმოში მაღალი ბურთი ვერ გაიყვეს და ქორქიკაშვილის ჩაწოდება ბობოხიძეს კუთხურზე რომ არ გადაეტანა, გოლიც გამოცხვებოდა. ოთხ წუთში მანვე კვეტენაძის მოულოდნელი, და ძლიერი დარტყმა აილო, ტაიმის შუაწელში კი კიდევ ერთი კარგი დარტყმა მოიგერია კუთხურზე.

„ლოკომოტივი" საგოლე მომენტს მომენტზე კი ქმნიდა, მაგრამ მათი დაბოლოება არაზუსტი იყო. პირველი ნახევრის გასრულებამდე 15 წუთით ადრე გამცემლიძემ ძელს გაარტყა, ათ წუთში კი ქვარცხავამ ძირს ვერ დასწია და გადააცილა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თბილისელები დათარსულნი იყვნენ და სტუმრები კონტრშეტევაზე თუ ივარგებდნენ, საბოლოოდაც შეეძლოთ ეხეირათ.

მეორე ტაიმი განსხვავებული იყო თუნდაც იმით, რომ აქ ორი გოლი გავიდა. თანაც 0:1-ზე სტუმრებიც გამოცოცხლდნენ, მაგრამ სწრაფ სუხიაშვილს რიგიანად ვერავინ დაეხმარა და არც არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, ძველგვარდიელთაგან თავი კობა ქორქიკაშვილმა გამოიჩინა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ მისთვის მწვრთნელობა ჯერ ადრეა, რადგან კვლავაც შესანიშნავად თამაშობს. სწორედ კობას ორ ჩაწოდებას მოჰყვა თბილისელთა გოლები, დანარჩენები კი გამცემლიძემ, ენუქიძემ და გვაზავამ ვერ გამოიყენეს. იმის ფონზეც კი, რომ კარგად ითამაშეს კვეტენაძემ, გამცემლიძემ, ყველგანმყოფმა ბარნოვმა და სტუმართა ჭაბუკმა მეკარემ (მას კოპალეიშვილმა სანაკრებოდ თვალიც დაადგა), ქორქიკაშვილი შეუდარებელი იყო და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარება ერგებოდა.

წაუგებელი სერია 6 მატჩამდე გაზარდა თემურ მახარაძემ, ურომლისოდაც „ლოკომოტივს" გუშინ იქნებ არ წაეგო, მაგრამ მოგებასაც ძნელად თუ ეღირსებოდა.

მოკლედ, მწვრთნელებმა ძალიან ივარგეს — მოთამაშემაც და დამრიგებელმაც.

ქალის სურნელი

ემზარ ზენაიშვილი ლუცერნიდან

1997 წელი. 25 ოქტომბერი — 2 ნოემბერი. ლუცერნი (შვეიცარია). ამ თარიღს და ქალაქს ქართული სპორტის, კერძოდ კი ჭადრაკის მემატიანენი გვერდს ვერ აუვლიან — მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე სამყაროს 9 საუკეთესო საჭადრაკო ქვეყნის დიდოსტატებს ეპაექრებოდა ქალთა ჭადრაკის „გრანდის" — საქართველოს ექვსი წარმომადგენელი.

იხილეთ მესამე გვერდი

გერმანია

XII ტური

შალკე 2:0 ბოხუმი
1:0 ვილმოტსი (68), 2:0 გუსენსი (77)

კაიზერი 1:0 დუისბურგი
1:0 მარშალი (21)

ვოლფსბურგი 2:0 არმინია
1:0 სტევანოვიჩი (27), 2:0 გრეინერი (68)

დორტმუნდი 3:2 ჰანზა
1:0 კოლერი (3), 1:1 დოვე (9), 2:1, 3:1 მიოლერი (40, 53), 3:2 ბაუმგარტი (90)

ჰერტა 3:1 კარლსრუე
0:1 კელერი (2), 1:1 როი (56), 2:1 სვერისონი (82), 3:1 ბრიტჩი (90)

ბაიერნი 2:0 ვერდერი
1:0 იანკერი (33), 2:0 ბასლერი (71)

ჰამბურგი 1:2 მიუნხენი
0:1 მალეი (41), 0:2 ჩერნი (71) 1:2 კორდოსო (77)

გლადბახი 2:2 ლევერკუზენი
1:0 პეტერსონი (9), 1:1 მეიერი (23), 1:2 ფელდჰოფი (78), 2:2 ანდერსონი (90)

კიოლნი 4:2 შტუტგარტი
1:0 ვლადოიუ (2), 1:1 პოშნერი (9), 2:1 ტრეტშოკი (15), 3:1 ვლადოიუ (39), 4:1 რუზეკე (68), 4:2 რადუჩოიუ (75)

REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ჰანზა. მიოლერი მეტოქეს რისხვად დაატყდა

პარასკევს ლიდერი „კაიზერსლაუტერნი“ შინ „დუისბერგს“ შეხვდა. მთელი თამაშის მანძილზე ოპერაციებსა სტუმრები ჭარბობდნენ. მაგრამ მათ აქტიურობას გოლი არ მოჰყოლია. მასპინძლებმა იშვიათ შეტევათაგან ერთ-ერთი კი მარშალმა გოლად აქცია და მინიმალური ანგარიშით გაამარჯვებინა თავის გუნდს.

იმავე დღეს გელზენკირხენში, უეფას თასზე მოასპარეზე ორი გუნდი შეეპაექრა ერთმანეთს. „შალკემ“ არანაირი შანსი არ დაუტოვა „ბოხუმს“. მასპინძლებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და ამ მოგებით მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ.

შაბათს გაიმართა ტურის ძირითადი მატჩები: „ჰამბურგმა“ „მიუნხენ 1860“-ს უმასპინძლა. მასპინძლები სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე, სტუმრებს კი მთავარი ბომბარდირი — ვინკლერი აკლდათ. გამარჯვებას „ჰამბურგს“ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სტუმრებმა კონტრშეტევებზე გატანილი ორი გოლით გააქარწყლეს ეს პროგნოზი. ამას „ჰამბურგმა“ მხოლოდ ერთით უპასუხა და შინ 1:2 დამარცხდა. მიუნხენელთაგან გამოსარჩევია დებიუტანტი მალეი. „ვოლფსბურგმა“ „არმინია“ მიიღო, მთელი მატჩი აქტიურად ჩაატარა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა — 2:0. სხვაობა უფრო დიდიც იქნებოდა, მასპინძლებს პენალტი რომ გამოეყენებინათ. კარგად ითამაშა ვოლფსბურგელთა საუკეთესო ფეხბურთელმა პრეგერმა. მართალია, მან გოლი ვერ შეაგდო, მაგრამ ძალიან სახიფათოდ ირჯებოდა და მეორე გოლიც მისი პასით გავიდა.

აუტსაიდერმა „ჰერტამ“ „კარლსრუეს“ უმასპინძლა. მასპინძლებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა და ღირსეულად გაიმარჯვეს 3:1. სტუმართაგან კარგი თამაშით ჰესლერი გამოირჩეოდა, ერთადერთი გოლიც მისი მშვენიერი პასით გავიდა. ისე კი, გუნდს აშკარად ეტყობოდა დაღლა, ჩანს, სამშაბათს ჩატარებული უეფას თასის შეხვედრის შემდეგ ძალა სრულად ვერ აღიდგინა. სტაბილურად სუსტად ითამაშეს „კარლსრუეს“ დაცვამ და მეკარე რაიტმაიერმა. „ჰერტადან“ როი და სვერისონი გამოირჩეოდნენ.

1989 წლიდან მოყოლებული მიონხენგლადბახის „ბორუსია“ საკუთარ მოედანზე ფრედ ამთავრებს მატჩებს ლევერკუზენის „ბაიერთან“. აქედან ოთხჯერ 2:2 დამთავრდა მათი შეხვედრები.

გუნდებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და კვლავ ფრე — 2:2.

საერთოდ, „ბორუსია“ სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარია და მაინცდამაინც არც იმისთვის იკლავს თავს, მეტოქეს ხელი შეუშალოს. ორივე გუნდი ბევრს უტევდა, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰყავდათ მთავარი ფეხბურთელები — ეფენბერგი და კირსტენი. მომენტიც არაერთი შეიქმნა. ლევერკუზენელთაგან კარგად ითამაშეს მაიერმა, ლენჰოფმა, მიონხენგლადბახელთაგან კი აღნიშნის ღირსნი შვედი ლეგიონერები — პეტერსონი და ანდერსონი არიან. დორტმუნდის „ბორუსიამ“ შინ „ჰანზა“ დაამარცხა. დორტმუნდელთა რიგებში ნელ-ნელა ბრუნდებიან ტრავმირებული ფეხბურთელები. „ჰანზასთან“ სათამაშოდ, ზამერის გარდა, ფაქტობრივად, ძირითადის ყველა ფეხბურთელი გამოვიდა, თამაშითაც კარგად ითამაშეს და გულშემატკივრებსაც იმედი გაუღვიძეს. ჩინებული იყო ანდი მიოლერი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გატანილი მეორე გოლი, როცა მან სოლო რეიდი შეასრულა, მოატყუა სტუმართა მცველები, მეკარე და ბურთი კარის ბადეში გაგზავნა.

ჰოლანდია

XII ტური

გრაადფსხაპი 1:2 ჰერენვენი
0:1 სამარჯიჩი (12), 1:1 რზასა (21), 1:2 მიტრიტა (38)

ეინდჰოვენი 5:0 მაასტრიხტი
1:0 ნუმანი (34), 2:0 სტამი (38), 3:0 სტინგა (47), 4:0 იონკი (48), 5:0 ვამპეტა (58)

უტრეხტი 2:4 ნაიმეგენი
0:1 შულეი (15), 1:1 დეშეივერი (17), 1:2 შულეი (31), 1:3 ელერმანი (38), 2:3 დეშეივერი (63), 2:4 აიკერენი (90)

სპარტა 1:1 გრონინგენი
0:1 კუნი (51), 1:1 ვან დერ ლაანი (70)

აიაქსი 4:0 ფეიენოორდი
1:0 ლიტმანენი (313), 2:0 არველაძე (42) 3:0 დანი (50), 4:0 რ. დე ბური (76)

ვალვაიკი 1:1 ვოლენდამი
1:0 ვან არუმი (30), 1:1 ვალეკი (87)

ტვენტე 1:2 როდა
1:0 სუმაილა (46), 1:1 ვან დერ ლუერი (50), 1:2 ვან ჰუდტი (81)

ვიტესი 1:0 სიტარდი
1:0 მაპლასი (42)

1 წუთი: საჯარიმო მოედნის მარჯვენიდან შოთა არველაძე მეკარესთან პირისპირ შეჰყავთ, მაგრამ შოთა დარტყმისთვის ხელსაყრელ წამს ხელიდან უშვებს, ბურთი მეორე ფეხზე გადააქვს და ამასობაში მცველი გასრიალებით მას განზე უგდებს.

14-ე წუთი: ვიჩხეს პასის შემდეგ შოთა საჯარიმოს მისადგომებთან მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში არტყამს, მაგრამ პოლონელი დუდეკი ბურთს ნახტომით წვდება და კუთხურზე იცერებს.

28-ე წუთი: ლიტმანენი და შოთა ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან. საკმარისია, ფინელმა ქართველს სამიოდ მეტრში დაბალი პასი გაუგორის, რომ დაუცველ კარში გოლი გარდაუვალია, მაგრამ ლიტმანენი მოახლოებული მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას ცდილობს და აცილებს.

30-ე წუთი: ლიტმანენი შეცდომას ასწორებს, საჯარიმოში ბურთს აწვდის შოთას, რომელიც მცველს მიმართულების შეცვლით ატყუებს და მას დაბლა სცემენ. მსაჯი პენალტს ნიშნავს, გოლი ლიტმანენს გააქვს.

42-ე წუთი: ვიჩხეს პასით არველაძე მეკარესთან პირისპირ გადის, დამიზნებით არტყამს დაბლა და ანგარიშს ზრდის.

50-ე წუთი: დანი დიდოსტატურად იმორჩილებს ბურთს და საჯარიმოში შოთას აწვდის. ქართველი ბურთის მცველის წინ გაგდებას ცდილობს, მაგრამ იგი სრიალით ასწრებს. მის ისევ დანი ეუფლება და ვირტუოზულად უგდებს მეკარეს თავზე — 3:0.

74-ე წუთი: მარცხნიდან არველაძე უტევს. მის ძლიერ დარტყმას დუდეკი ადგილზე ხვდება.

78-ე წუთი: რონალდ დე ბური — ვიჩხე — შოთა — რონალდ დე ბური — 4:0. საგოლე პასის შესრულებისას არველაძე სხარტად და ჩინებულად გაერკვა ვითარებაში. მან ყველაზე საიმედო გადაწყვეტილება მიიღო.

„აიაქსმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვან დერ სარი, ტობიასენი (მელხიოტი 81), ბლინდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ვიჩხე, ლიტმანენი, დანი (რუდი 60), ოლისე, ჰუკსტრა (სიბონი 77), არველაძე

აიაქსი	11	11	0	0	42:3	33
ეინდჰოვენი	12	8	4	0	39:12	28
ჰერენვენი	12	7	3	2	20:12	24
ვიტესი	11	6	3	2	26:18	21
ფეიენოორდი	11	6	2	3	18:13	20
ტვენტე	11	5	4	2	16:10	19
როდა	11	5	2	4	18:16	17
სპარტა	12	3	6	3	24:20	15
გრონინგენი	12	3	5	4	17:19	14
გრაადფსხაპი	12	3	4	5	14:12	13
ნაიმეგენი	12	4	1	7	13:25	13
ბრედა	10	3	3	4	12:11	12
ტილბურგი	11	3	3	5	17:20	12
სიტარდი	11	3	2	6	13:25	11
ვალვაიკი	12	2	4	6	14:23	10
უტრეხტი	11	2	2	7	18:32	8
ვოლენდამი	11	1	3	7	7:33	6
მაასტრიხტი	11	1	1	9	8:32	4

ბომბარდირები

ნიკოს მახლასი (ვიტესი)	12
შოთა არველაძე (აიაქსი)	8
დენის დე ნოიერი (სპარტა)	8
ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი)	7

საფრანგეთი

XIII ტური

ბასტია 1:1 მარსელი
1:0 სილიაკი (3), 1:1 კამარა (55)

ბორდო 1:1 ნანტი
1:0 პაპენი (44), 1:1 და როშა (63)

მონაკო 0:1 ოსერი
0:1 დიომედე (15)

კანი 1:1 ლე ავრი
0:1 ორლავილი (69), 1:1 შარვე (80)

ლიონი 0:0 ტულუზი

მეცი 0:1 მონპელიე
0:1 მაპუვი (75)

პსჟ 2:0 ლანსი
1:0 ნგოტი (23), 2:0 რაი (47)

შატორუ 2:2 გინგამი
0:1 დუფრესნე (53), 0:2 შარვონდიე (69), 1:2, 2:2 ბანკარელი (74, 85)

რენი 3:1 სტრასბური
1:0 ბიგნე (16), 2:0 გუსე (28), 3:0 ვაიზერი (31), 3:1 კინე (60)

პსჟ	13	9	3	1	28:10	30
ბორდო	13	8	3	2	20:14	27
მეცი	13	8	2	3	20:11	26
მარსელი	13	7	3	3	17:10	24
ოსერი	13	7	0	6	24:18	21
ლანსი	13	6	3	4	15:12	21
მონაკო	13	6	2	5	18:13	20
ბასტია	13	5	4	4	16:12	19
ტულუზი	13	5	4	4	10:14	19
მონპელიე	13	4	5	4	13:14	17
ლიონი	13	5	1	7	16:18	16
გინგამი	13	4	3	6	14:17	15
ნანტი	13	3	4	6	10:13	13
სტრასბური	13	3	4	6	13:19	13
რენი	13	3	4	6	14:23	13
შატორუ	13	3	3	7	12:21	12
ლე ავრი	13	1	6	6	13:19	9
კანი	13	2	2	9	12:27	8

შვედეთი

გუშინ შვედეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჰალმსტადმა“ ლიგიდან გაკარდნილ „ლიუნგსკილეს“ 3:0 მოუგო და ჩემპიონი გახდა. „ჰალმსტადი“ არსებობის 83 წლის მანძილზე მესამედ დაეუფლა ეროვნულ ტიტულს! ადრე 1976 და 1979 წლებში „ბლექბერნის“ ახლანდელი მწვრთნელის როი ჰოჯსონის ხელმძღვანელობით მოიპოვა ჩემპიონობა.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა. ხორჩიოპინგი — ტრელებორგი 0:0; ელფსბორგი — ორგრიტე 0:1; დეგერფორსი — ესტერი 2:2; ვასტერასი — ვერბრო 2:2; გიოტებორგი — ჰელსინგბორგი 2:2; მალმიო — აიკი 0:0.

ჰალმსტადი	26	17	1	8	49:27	52
გიოტებორგი	26	14	7	5	50:32	49
მალმიო	26	12	10	4	48:28	46
ერებრო	26	13	7	6	43:34	46
ორგრიტე	26	12	7	7	34:29	43
ჰელსინგბორგი	26	10	11	5	40:28	41
ელფსბორგი	26	12	5	9	45:35	41
აიკი	26	9	10	7	38:26	37
ნორჩიოპინგი	26	7	7	12	27:36	28
ტრელებორგი	26	8	4	14	32:48	28
ესტერი	26	4	11	11	28:44	23
ვასტერასი	26	6	5	15	26:49	23
დეგერფორსი	26	4	8	14	29:47	20
ლიუნგსკილი	26	5	5	16	31:57	20

ფეხბურთის რუკასთან



ფინეთის თასი მოიპოვა „ჰაკამ“, რომელმაც „ტურკუს“ 2:1 მოუგო. თამაშის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, რადგან ივანოვის მიერ პირველ ტაიმში გატანილ გოლს მეორეში ტურკუელმა კასაგრანდემ უპასუხა. მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, როდესაც 101-ე წუთზე პოპოვიჩმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

ნორვეგიის თასის ფინალში მეორელიგელმა „ვოლერენგენმა“ 4:2 დაამარცხა „სტრომსგოდსეტი“.

რუსეთის ჩემპიონატის გამოტოვებული თამაში: ნიჟნი ნოვგოროდი — შინიკი 0:1.

ალბანეთის ჩემპიონატის მე-7 ტური. ლჩი — ტომორი 2:1, ოლიმპიკი — ფლამურტარი 1:0, ელბასანი — აპოლონია 3:0, ვლაჭნა — ბილიში 2:0, სკენდერბო — ტირანა 1:0, ბესა — ტეუტა 0:1, ალბპეტროლი — შკუმბინი 2:2, პარტიზანი — სოპოტი 5:0, შკიპონია — ლუშნია 1:0. 18 ქულით ლიდერობს ტირანა.

ევროპაჩემპიონატი

VIII ტური

ბეტისი — 1:0 მიმბოსტელა
1:0 ალესსი (42ჯ)

ათლეტიკო 0:2 ესპანიოლი
0:1 კიკო (11 ს.კ.), 0:2 გალეკა (90)

სალამანკა 1:2 სარაგოსა
1:0 პაულეტა (21), 1:1 გარიტანო (24), 1:2 ვოოტვერი (62)

სოსიედადი 2:1 მერიდა
1:0 კრაიოვვანუ (42), 1:1 ხაიმე (53), 2:1 კოვაჩევიჩი (82)

ვალენსია 1:1 ოვიედო
1:0 რომარიო (7), 1:1 დელი ვალდესი (83)

დეპორტივო 1:1 სელტა
1:0 ლუიზაო (30), 1:1 სალიანსი (37)

სპორტინგი 1:2 ბილბაო
0:1 ვარასალი (423), 0:2 კარლოს გარსია (54), 1:2 ლედიახოვი (613)

ტენერიფე 1:0 ვალიადოლიდი
1:0 დორადო (68)

ბარსელონა 2:0 რასინგი
1:0 ოსკარი (52), 2:0 ლუის ენრიკე (68)

მალიორკა — რეალი დღეს გაიმართება

ტურის უმთავრესი მოვლენა, უდავოდ, „ესპანიოლის“ მადრიდში გამარჯვებაა. „ესპანიოლმა“ ბოლო 30 წლის მანძილზე პირველად შესძლო „ვესენტე კალდერონის“ სტადიონზე მასპინძელთა დამარცხება. აღსანიშნავია, რომარიოს პირველი გოლი ესპანეთში დაბრუნების მერე.

ბარსელონა	8	7	1	0	20:6	22
რეალი	7	5	2	0	12:1	17
ესპანიოლი	8	4	4	0	14:4	16
სოსიედადი	8	5	1	2	14:8	16
სელტა	8	4	3	1	15:9	15
ათლეტიკო	8	4	2	2	20:8	14
მალიორკა	7	4	2	1	16:8	14
ბეტისი	8	3	3	2	12:14	12
ბილბაო	8	2	5	1	8:8	11
ტენერიფე	8	3	2	3	10:13	11
რასინგი	8	3	1	4	10:12	10
სარაგოსა	8	2	4	2	14:17	10
ოვიედო	8	2	4	2	10:13	10
დეპორტივო	8	1	5	2	9:9	8
კომპოსტელა	8	1	4	3	12:13	7
ვალენსია	8	1	2	5	7:12	5
მერიდა	8	1	2	5	6:15	5
სალამანკა	8	1	1	6	4:13	4
ვალიადოლიდი	8	1	1	6	6:19	4
სპორტინგი	8	0	1	7	6:23	1

ბომბარდირები

კრისტიან ვიერი (ათლეტიკო)	7
რივალდო (ბარსელონა)	6
ლუის ენრიკე (ბარსელონა)	6
გარიტანო (სარაგოსა)	6
ვაბრიელ ამატო (მალიორკა)	5
ხუან ესნაიდერი (ესპანიოლი)	5

მეორე დივიზიონი

მე-10 ტური. ვიბარი — ნუმანსია 1:0; ლას პალმასი — ალბასეტე 3:2; ლეიდა — ტოლედო 2:1; ორენსე — ვილიარეალი 0:0; ხაენი — რაიო 0:1; სერესი — ვრკულესი 0:0; ელჩე — ოსასუნა 2:0; ესტრემადურა — ლევანტე 1:0; ბადახოსი — ალავესი 0:0; ლოგრონიესი — ლეგანესი 2:0; სევილია — ათლეტიკო B 1:3

პორტუგალიის ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში თბილისის „დინამოს“ მეტოქე უეფას თასის გათამაშებაში „ბრაგა“ სტუმრად „სალგეირუშთან“ დამარცხდა — 0:1.

ბულგარეთის მე-10 ტური. ლევსკი (სოფია) — ცსკა 1:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — მეტალურგი 3:2, სპარტაკი (ვარნა) — ნეფტოხიმიკი 1:2, მინიორი — დობრუჯა 4:0, ეტური — ოლიმპიკი 1:1, სლავია — ლოკომოტივი (სოფია) 2:1 25 ქულით ლიდერობს ლევსკი (სოფია). მას ორი ქულით ჩამორჩება ლოტევსი.

გერმანიის „ჰამბურგის“ თავდამსხმელმა კარსტენ ბარონმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ეს უკვე მეორე შემთხვევაა — პირველად 24 წლის ფეხბურთელს 1994 წელს დასჭირდა ქირურგების დახმარება. ტრავმა ბარონმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში მიიღო.

ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი, შესაძლოა, „ლივერპულს“ შეუერთდეს. ინგლისელები ფრიდელის ახლანდელ გუნდს — „კოლუმბუს ჩრეუს“ მილიონ 600 ათას დოლარზე შეუთანხმდნენ და მალე ოკეანისგადაღმელი ალბიონზე დაიწყებს თამაშს. სავარაუდოდ, კონტრაქტი ოთხწლიანი იქნება.

ინგლისი

XII ტური

უიმბლდონი 1:0 ლიდსი
1:0 ერდლი (29)

მანჩესტერი 7:0 ბარნსლი
1:0, 2:0 კოული (17, 19), 3:0 გიგზი (43), 4:0 კოული (45), 5:0 გიგზი (56), 6:0 სკოულზი (59), 7:0 პობორსკი (80)

ნიუკასლი 1:1 გლეძბერნი
1:0 გილესპი (27), 1:1 სატონი (57)

ლივერპული 4:0 დერბი
1:0 ფაულერი (27), 2:0 ლეონარდსენი (65), 3:0 ფაულერი (84), 4:0 მაკმანამანი (88)

საუთჰემპტონი 3:2 ტოტენჰემი
0:1 დომინგუზი (42), 1:1 ვეგა (54 ს.კ.), 1:2 ტინლა (65), 2:2, 3:2 ჰერსტი (67, 80)

ქოვენთრი 0:0 ევერტონი

შეფილდი 1:3 კრისტალ პალასი
0:1, ჰრიდარსონი (27), 0:2 როჯერი (52), 1:2 კოლინზი (57), 1:3 შიპერლი (60)

არსენალი 0:0 ასტონ ვილა

ბოლტონი 1:0 ჩელსი
1:0 ჰოლდსუორთი (71)

ამ ტურის ცენტრალურ შეხვედრაზე საკმაოდ ითქვა. მატჩი დაძაბული რომ იქნებოდა, ეს ადრევე იყო ცნობილი, ოღონდ ანგარიშის შენარჩუნებასა და გოლის არგაშვებაზე უფრო ქეცბაიას თანაგუნდელები თუ იზრუნებდნენ, ძნელად ვინმე წარმოიდგენდა. მასპინძლები მეტად უნიათოდ მოქმედებდნენ, სტუმრებმა კი, როცა იგრძნეს, მეტოქე ვერ უწევდათ დიდ წინააღმდეგობას, მეორე ტაიმში თამაშს უმატეს და „სენტ ჯეიმსის პარკზე" შეკრებილი 35 ათასამდე გულშემატკივარს არაერთი საშინელი წუთი განაცდევინეს. ასეა თუ ისე, შეხვედრა, რომელშიც მოგება ორივეს ძალიან ჭირდებოდა, ფრედ დასრულდა. ამით უფრო დალგლეში იყო კმაყოფილი, ვიდრე ჰოჯსონი. „ჩვენ გუნდის 12 ჯანმრთელი ფეხბურთელიდან 11 ვათამაშეთ. დანარჩენი დამტვრეული გვყავდა. ის ერთიც მეკარე ჰისდოპია. მეტად დაძაბული მატჩი იყო. მეტოქის არ გვეშინოდა, მაგრამ მაინც ეფრთხილობდით. გუნდის დღევანდელი მდგომარეობის ფონზე ქულა კარგია, მაგრამ უკეთესი შედეგიც იყო მოსალოდნელი. დარწმუნებული ვარ, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება" — განაცხადა კენი დალგლიშმა. რაც შეეხება ქეცბაიას, მან მთელი მატჩი ითამაშა, მაგრამ თანაგუნდელთაგან გამოირჩეოდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. თემურმა კარგად კი ითამაშა, მაგრამ ერთხელ ერთობ ცუდად დაარტყა... რაც შეეხება გილესპის გოლს, იგი ქეცბაია-ტომასონის კომბინაციის შემდეგ გავიდა.

ენდი კოული (მარჯვნივ) — მანჩესტერის გმირი

REUTERS მანჩესტერიდან

და რა შუაშია აქ „ბარნსლი"?

7:0 — ასეთი ანგარიში საქართველოს ჩემპიონატში არავის უკვირს, მაგრამ ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ერთი გუნდი მეორეს ასეთი დიდი ანგარიშით რომ სძლევს, გამარჯვებული მაშინათვე ყურადღების ცენტრში ექცევა. ამჯერად ქვეყნის ჩემპიონებმა „ბარნსლი" შეიწირეს. 1995 წლის მარტში მანჩესტერელებმა „იფსვიჩი" 9:0 გაანადგურეს. მაშინ ენდი კოულმა ოთხი გოლი შეაგდო. ამჯერად იგი მხოლოდ სამით დაკმაყოფილდა. ზემოთნახსენებ ორ მატჩს შორის თითქმის ორნახევარი წელია. ამ ხნის განმავლობაში ენდი კოული „ალისფერთა" რიგებში იყო, თუმცა, ტრავმების გამო ბევრი გაუცდა. მას თითქოს არ ეწერა, „იუნაიტედის" ნომერ პირველი თავდამსხმელი გამხდარიყო, მაგრამ ფერგიუსონი ენდო და აქედან რა გამოვიდა, ძნელი მისახვედრი არაა. ისე, როცა „ბარნსლისთან" 7:0 მოგებულ შეხვედრაზე საუბრობ, შესაძლებელია, კოულის გვერდით გიგზი არ ახსენო — ამ უელსელმა ბიჭმა, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია, რომ იტყვიან, გააწამა მეტოქეები, მათ მთელი საათნახევრის მანძილზე ვერაფერი გაუგეს. გიგზმა თავად ორი ბურთი შეაგდო, მაგრამ ამავე კოულის და სქოულზის გოლებზეც დაიდო.

დაბოლოს, შეუძლებელია, არ აღინიშნოს ჩეხი კარელ პობარსკის გოლი — ევრო-96-ის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ ქუსლით მეტად ლამაზად დალაშქრა „ბარნსლის" კარი.

ტურის სხვა შეხვედრებიდან გამოირჩეოდა „ლივერპულის" ზეობა „დერბი-ქაუნთისთან" მატჩში. პრემიერლიგაში და ევროთასებზე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ მასპინძლებმა მეტად ლამაზად იმარჯვეს, „დერბიმ" კი შვიდმატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა.

მანჩესტერი	12	7	4	1	23:6	25
არსენალი	12	6	6	0	27:10	24
ბლეკბერნი	12	6	5	1	22:10	23
ჩელსი	11	6	1	4	25:15	19
ლივერპული	11	5	3	3	20:12	18
ლესტერი	11	5	3	3	14:9	18
დერბი	11	5	2	4	19:15	17
ლიდსი	12	5	2	5	15:13	17
უიმბლდონი	12	4	4	4	14:13	16
ნიუკასლი	9	5	1	3	9:10	16
ვესტ ჰემი	11	5	1	5	15:17	16
კრისტალ პალ.	12	4	3	5	12:14	15
ასტონ ვილა	12	4	2	6	12:17	14
ტოტენჰემი	12	3	4	5	11:16	13
ქოვენთრი	12	2	7	3	8:13	13
ევერტონი	11	3	3	5	13:16	12
ბოლტონი	11	2	5	4	9:15	11
საუთჰემპტონი	12	3	1	8	11:20	10
შეფილდი	12	2	3	7	17:29	9
ბარნსლი	12	3	0	9	9:35	9

პირველი დივიზიონი

მე-14 ტური. ბირმინგემი — ოქსფორდი 0:0; ბრედფორდი — ქრიუ 1:0; ჰადერსფილდი — პორტსმუთი 1:1; იფსვიჩი — ბერი 2:0; მიდლსბრო — პორტ ვალი 2:1; სტოკპორტი — ვულვერჰემპტონი 1:0; სტოკ სიტი — სანდერლენდი 1:2; სვინდონი — ნორვიჩი 1:1; ტრანმერი — ჩარლტონი 2:2; ვესტ ბრომვიჩი — შეფილდი 2:0; რედინგი — ნოტინგემი 3:3; ქუინზ პარკი — სიტი 2:0

შვეიცარია

მე-16 ტური. ცრინსი — კარუჟი 2:0; სერვეტი — ბაზელი 4:1; სენტ გალენი — ლუცერნი 0:0; ქსამაქსი — გრასჰოპერი 1:2; სიონი — არაუ 2:3; ციურიხი — ლოზანა 0:0

გრასჰოპერი	16	11	3	2	43:16	36
სერვეტი	16	10	4	2	32:19	34
ლოზანა	16	9	4	3	33:19	31
არაუ	16	8	2	6	27:21	26
სენტ გალენი	16	5	7	4	26:21	22
სიონი	15	5	5	5	22:19	20
ციურიხი	16	4	8	4	19:20	20
ცრინსი	16	5	4	7	17:25	19
ლუცერნი	15	4	6	5	16:20	18
ქსამაქსი	16	4	4	8	21:28	16
ბაზელი	16	3	3	10	19:35	12
კარუჟი	16	0	4	12	10:42	4

ავსტრია

მე-16 ტური. ტიროლი — აუსტრია 2:1; რიდი — გრაცერი 0:0; რაპიდი — ლინცერი 3:1; ადმირა — ლუსტენაუ 1:1; შტურმი — ზალცბურგი 1:0

შტურმი	16	11	4	1	35:9	37
გრაცერი	16	9	3	4	29:12	30
აუსტრია	16	7	4	5	22:22	25
ლინცერი	16	7	3	6	28:25	24
რაპიდი	16	7	3	6	19:21	24
ზალცბურგი	16	6	3	7	24:18	21
რიდი	16	5	5	6	16:22	20
ტიროლი	16	5	3	8	20:24	18
ლუსტენაუ	16	3	6	7	19:27	15
ადმირა	16	2	2	12	10:42	8

შოტლანდია

მე-10 ტური. სელტიკი — სენტ ჯონსტონი 2:0; დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი 2:1; კილმარნოკი — ჰიბერნიანი 2:1; მოზერველი — აბერდინი 1:2; ჰართსი — დანფერმლაინი გადაიდო

სელტიკი	9	7	0	2	19:8	21
რეინჯერსი	9	6	2	1	30:12	20
ჰართსი	9	6	0	3	19:11	18
ჰიბერნიანი	10	3	3	4	18:15	12
სენტ ჯონსტონი	10	3	3	4	8:12	12
დანფერმლაინი	9	3	3	3	14:23	12
კილმარნოკი	10	3	2	5	7:19	11
დანდი იუნ.	10	2	4	4	16:18	10
აბერდინი	10	2	3	5	11:17	9
მოზერველი	10	2	2	6	13:20	8

პოლონეთი

12 ტური. პეტროხემია — ოსტროვიეცი 1:0; სტომილი — ლეხი 3:2; ამიცა — ლკს 0:1; რუხი — ოდრა 1:1; პოგონი — ზაგლებიე 1:4; ვიძევი — რაკოვი 5:1; გკს — ლეგია 0:1; პოლონია — ვისლა 2:0; გროცლინი — გურნიკი 1:0

ვიძევი	12	8	2	2	25:7	26
ლკს	12	8	2	2	20:8	26
ლეგია	12	6	5	1	22:11	23
პოლონია	12	5	4	3	15:10	19
ოდრა	12	6	1	5	16:17	19
რუხი	12	4	6	2	19:12	18
ლეხი	12	5	2	5	15:12	17
ზაგლებიე	12	5	1	6	17:18	16
პოგონი	12	4	4	4	14:17	16
სტომილი	12	5	1	6	14:18	16
გროცლინი	12	4	3	5	9:12	15
ვისლა	12	4	3	5	10:16	15
გურნიკი	12	4	3	5	14:21	15
გკს	12	3	5	4	16:13	14
ამიცა	12	4	2	6	12:12	14
პეტროხემია	12	4	2	6	9:19	14
ოსტროვიეცი	12	2	3	7	9:16	9
რაკოვი	12	1	3	8	8:25	6

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

აზია

იაპონია 1:1 საამიროეები
1:0 ვაგნარ ლოპესი (3), 1:1 ჰასან მუბარაკი (36)

კორეა	6	5	1	0	16:5	16
საამიროები	6	2	2	2	9:9	8
იაპონია	6	1	4	1	10:8	7
ყაზახეთი	7	1	3	3	6:14	6
უზბეკეთი	7	1	2	4	13:18	5

იტალია

სერია B

მე-9 ტური პესკარა — ჯენოა 1:0; კალიარი — სალერნიტანა 1:1; ფ. ანდრია — ტორინო 0:2; ლუკეზე — რეჯანა 2:1; მონცა — დი სანგრო 2:2; პადოვა — კიევო 3:2; პერუჯა — ანკონა 1:1; რეჯინა — რავენა 1:0; ტრევიზო — ვენეცია 1:1; ვერონა — ფოჯა 3:2

რეკლამოსაბჭოტო
ეკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, საფოსტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჟრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

ქალის სურნელი

— სასიამოვნო მოულოდნელობა და მართლაც რომ სწორი გადაწყვეტილებაა ქართველი მანდილოსნების ამ ტურნირში მონაწილეობა. ქულების თვლას ნუ შეუდგებით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თქვენები ბევრს გაამწარებენ — მეუბნება ადრე ჩეხოსლოვაკიელი, ამჟამად კი გერმანიაში მცხოვრები ცნობილი გროსმაისტერი ვლასტიმილ ჰორტი.

— ქალი ვარ და მეამაყება, რომ ვაჟთა მსოფლიოს პირველობაზე ქართველი ქალები მონაწილეობენ. ეს ბევრად საინტერესოს გახდის ამ შეჯიბრებას, პეწსა და ლაზათს შემატებს მას. თქვენ გულშემატკივრები მარტო საქართველოში როდი გყავთ — მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მილიონობით ქალი თქვენს გვერდითაა, ოღონდაც კაცებს ქალების საჭადრაკო ძალა აჩვენეთ — განაცხადა შეჯიბრების გახსნის ცერემონიალზე შვეიცარიის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მინისტრმა.

ამავე ცერემონიალზე ერთი, ალბათ, უპრეცედენტო შემთხვევაც მოხდა. ტურნირის მონაწილეებს, მსაჯებსა და ორგანიზატორებს შეჯიბრის დაწყება მიულოცა ფიფს საპატიო პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა. თავის გამოსვლაში მან ასპარეზობაში მონაწილე ყველა ქვეყანა მოიხსენია, გარდა საქართველოსი. სიტყვა დაამთავრა, დაჯდა მისთვის განკუთვნილ ადგილზე, კიდევ ათი წუთი დაეთმო მუსიკალურ ნომერს და კამპომანესი ისევ მივიდა ტრიბუნასთან და ღიმილით მიმართა შეკრებილთ: „ხომ არ გეგონათ, რომ ტურნირში მონაწილე საქართველოს ქალთა გუნდი დამავიწყდა. მე მსურდა, რომ ისინი საერთო ჩამონათვალში არ მომექცია, ცალკე, გამორჩეულად მეუწყებინა მათ შესახებ. მივესალმოთ ქართველ დიდოსტატ ქალებს!"

მსოფლიოს გუნდური პირველობის შემოღების იდეა კომპომანესს ეკუთვნის. როგორც წინა რეპორტაჟში გაუწყეთ, დღემდე გამართულ სამ ჩემპიონატს ლუცერნმა უმასპინძლა. 1985 და 1989 წლებში ჩემპიონობა საბჭოთა კავშირის უძლიერესმა გუნდმა მოიპოვა. აი, 1993 წელს კი რუსეთის ნაკრებმა ფიასკო განიცადა — სწორედ ასე წერდა მაშინდელი რუსული პრესა — მათ მხოლოდ ბრინჯაო „გაახერხეს", ამერიკელ და უკრაინელ მოჭადრაკეებს ჩამორჩნენ.

— მიუხედავად იმისა, რომ სამი „K"-გან (კასპაროვი, კარპოვი, კრამნიკი) არცერთი იქნება, ჩვენ ძალზე ძლიერი, ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე გუნდი ჩამოვიყვანეთ. მხოლოდ ჩემპიონობა, სხვა ადგილს არ ვცნობთ — მეუბნება რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, სახელმწიფო დუმის დეპუტატი ანდრეი სელივანოვი.

სხვათა შორის, განაცხადში შეყვანილი კრამნიკის ჩამოუსვლელობას არაორდინალურმა და ენამოსწრებულმა ნინო გურიელმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: „სამწუხაროა, რომ კრამნიკი არ ჩამოვიდა — ამდენ შეუზედავ მოჭადრაკე კაცებში ერთი მაინც გამოერეოდა ნორმალური და სიმპათიური."

ძლიერი და მებრძოლი გუნდები ჰყავთ ინგლისელებს, უკრაინელებს, აშშ-ს, ხორვატიას; სომხებიც სათვალავში არიან ჩასაგდები, ასე რომ, საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა უშეღავათო უნდა იყოს. ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჩვენი სპორტსმენების პროგნოზები: მაია და ორივე ნინო — ინგლისი; ორივე ნანა — რუსეთი; ნონას კი მიაჩნია, რომ ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს.

...ალბათ უკვე აიგსო თქვენი მოთმინების ფიალა, პატივცემულო მკითხველო, და ამიტომაც გადავიდეთ პირველი ტურის პერიპეტიებზე.

სასტუმროდან შეჯიბრების ადგილამდე ფეხით 10-12 წუთის სავალია. მაიას დიდხანს, თითქმის შუადღემდე სძინავს, ძალზე ადრე საუზმობს, გახსნის ცერემონიალზეც კი არ მოდის. მოჭადრაკეები და დელეგაციის სხვა წევრები ვესტიბიულში ვსაუბრობთ, ნინო გურიელიც გამოჩნდა. უცებ მას ნანა ალექსანდრია მიუბრუნდა — ნინო, ეს რა სუნამო გასხია, მართლაც რომ ფანტასტიკურია; „რა ვქნა, ჩემო ნანა — მკვირცხლად პასუხობს ნინო — ჩემს მოწინააღმდეგეებსა და მაყურებლებს კარგი სურნელით მაინც ხომ დავამახსოვრებ თავს." „კარგია, ჩემო ნინო, მაგრამ უკეთესი ხომ არ იქნება, კარგ სურნელთან ერთად კარგი თამაშის კვალიც დავტოვოთ." ბუნებრივია, არც ნინოს, არც სხვებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. ყველა შემოსვლაში [illegible] ჩემპიონ ყაზახ მოჭადრაკეებს თავი [illegible] მდვილად დაამახსოვრეს.

ყაზახეთს ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ ჰყავს — კონტინენტის ჩემპიონები შემთხვევით არ ხდებიან. თუ არ მეშლება, ერთ-ერთ ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ყაზახებმა საპრიზო ადგილიც კი დაიკავეს. და კიდევ: სწორედ ამ გუნდმა გაანადგურა 4:0 საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც ზაფხულში გაიმართა. ცნობისთვის — ჩვენი ოთხეულის საშუალო რეიტინგი გახლავთ 2461, ყაზახებისა კი 2502...

...მაგრამ, უკაცრავად, მალე თხრობას პირადად მე შევწყვეტ და ჭადრაკის მოყვარულთ პატივებასა და გაგებას ვთხოვ.

სწორედ 25 ოქტომბერს, ლუცერნიდან მატარებლით სამიოდე საათის სავალზე, ქალაქ ნევშატელში დანიშნული იყო საფეხბურთო მატჩი შვეიცარიის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის — ადგილობრივი „ქსამაქსი" ქვეყნის უპირველეს გუნდს, ციურიხის „გრასჰოპერს" მასპინძლობდა, სწორედ იმ გუნდს, რომლის შემადგენლობაში ჩვენებურები — გიორგი ნემსაძე და მიხეილ ყაველაშვილი თამაშობენ. შუადღისას, ტურნირის გახსნის შემდეგ ამ მომქანცველ გზას იმიტომ კი არ დავადექი, რომ ჭადრაკს შვეიცარული ფეხბურთი ვამჯობინე. უბრალოდ, ციურიხელთა შემდგომ მატჩზე მე უკვე საშობლოში ვიქნები. არადა, ძალიან მინდოდა, ჩვენი ბიჭები, ნაკრების წევრები საქმეში პირადად მეხილა. ჩემს ამ არჩევანს მოწონებით როდი შეხვდნენ. „რას აიჩემეთ ეს ფეხბურთი. „სარბიელი" მარტო ფეხბურთზე, ხანდახან ავსტრალიურ ბურთაობაზე და ფორმულა 1-ზე წერს. დარჩით აქ, დაწერეთ ჩვენზე. ჩვენს საყვარელ და საინტერესო „სარბიელს" მარტო ფეხბურთის ფანები ხომ არ კითხულობენ? აი, ნახეთ, დღეს შეიძლება ჩვენებმა თავი გაიგიყონ — მამუნათებს ნონა გაფრინდაშვილი.

ჩემი საფეხბურთო ვოიაჟის გამო პირველი ტურის შედეგებზე კომენტარი ნონა გაფრინდაშვილს ეთხოვე.

— მაია ჩიბურდანიძესა და პაველ კაცურს შორის გათამაშდა ინდური დაცვა. თეორიებით მოთამაშე მაიამ პაიკი შესწირა და კარგი შეტევა მიიღო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დაფაზე დაფიქსირებული უპირატესობა საკმარისი არ იყო მოსაგებად. მაიამ გაავრცელა აქტიური თამაში, ტაქტიკური სიძნელეები შეუქმნა მეტოქეს და 38-ე სვლაზე ზედმეტი ფიგურით დარჩა. სამ სვლაში ყაზახი მოჭადრაკე დანებდა. მოკლედ, მაიამ ძალზე კარგად წარმართა პარტია.

ნანა იოსელიანმა სლავურ დაცვაში თეორიის შესაბამისად ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო. მაგრამ შესანიშნავად გაართვა თავი სადებიუტო პრობლემებს, სწორად გაცვალა ფიგურები და როცა იგი და მისი მეტოქე თითო ლაზიერისა და მხედრის ამარა დარჩნენ, დაზავდნენ კიდეც.

ქეთინო არახამია-გრანტმა თეთრებით ვენურ დაცვაში უკეთესი პოზიცია მიიღო მურთაზ კაზგალიევთან, C ხაზზე სუსტი პაიკიც დაუფიქსირა მოწინააღმდეგეს, მაგრამ შექმნილი პოზიციიდან ყაიმზე მეტის „ამოღება" ვერ მოხერხდა.

ნინო გურიელმა და სერიკ თემირბაევმა ინგლისურისა და ძველინდურის სინთეზი გაითამაშეს. ნინო ყოველ სვლაზე ბევრს ფიქრობდა და საკმაოდ ადრე იგრძნო ცენტრის საფრთხე. თუმცა თამაშით მართლაც კარგად თამაშობდა და სტრატეგიულად მოსაგები პოზიცია შეიქმნა. დროის ნაკლებობის შიშს დიდი თვალები აქვს და ნინომაც გარისკვას ნაღდი ნახევარი ქულა ამჯობინა. ისე კი, რამდენიმე წუთი რომ ჰქონოდა, ნინოსთვის იმ პარტიის მოგება პრობლემა ნამდვილად არ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენებმა 2,5:1,5 მოიგეს.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: აშშ — უკრაინა 2,5:1,5; ხორვატია — ინგლისი 1:3; კუბა — რუსეთი 3,5:0:5; სომხეთი — შვეიცარია 2,5:1,5. რუსეთის პირველმა დაფამ ეევგენი ბარეევმა აბსოლუტურად წასაგები პარტია მოგებით დასრულა.

P.S. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: „გრასჰოპერმა" მეორე ტაიმში ბრწყინვალე თამაშით წაგებული მატჩი მოიგო. ლეგიონერებით გატენილ ციურიხელთა გუნდში ყაველაშვილი და ნემსაძე შეუდარებელნი იყვნენ.

ოცნებების ასრულება

გუშინ „ხერესის“ ტრასაზე ჩინებულად რბოლის შემდეგ ჟაკ ვილნევი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

რბოლამდე ჩემპიონატში სიტუაცია ერთობ დაძაბა. ჩემპიონის ტიტულის ორივე მაძიებელს თანაბარი შანსი ჰქონდა, ორივეს მეტოქეზე წინ უნდა დაემთავრებინა ასპარეზობა. დაძაბულობა კვალიფიკაციის დროსაც შეიმჩნეოდა და საოცარი შედეგითაც დასრულდა: ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად სამმა პილოტმა აბსოლუტურად ერთნაირი დრო აჩვენა და პირველი სამი ადგილი დაიჭირა.

სესიის დაწყებიდან 14 წუთში საუკეთესო ვილნევი იყო — 1.21,072, 27 წუთის შემდეგ შუმახერმა ზუსტად ამავე დროში გაიარა ტრასა, ხოლო კვალიფიკაციის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ფრენცენმა გაიმეორა მათი შედეგი. პირველი პოზიცია ვილნევს დარჩა, რადგანაც პირველმა აჩვენა საუკეთესო დრო.

რბოლა მომავალი ჩემპიონისთვის ცუდად დაიწყო. სტარტიდან შუმი დაწინაურდა. იქვე ფრენცენმაც ჩამოიტოვა კანადელი. მაკლარენის დუეტმა კი ჰილს გადაასწრო. მეორე წრეზე ჟაკი უკვე 3,258 წამს აგებდა მთავარ კონკურენტთან, მერე ორჯერ საუკეთესო დრო აჩვენა და სხვაობა ოდნავ შეამცირა, თუმცა, მალე იგი კვლავ გაიზარდა. ერთი წრის შემდეგ ვილნევმა თანაგუნდელი ფრენცენი ჩამოიტოვა და შუმახერს ჩაუდგა კვალში.



ჟაკ ვილნევი

შუმი და ვილნევი მდევრებს დაშორდნენ, თუმცა მათ შორის სხვაობა დიდად არ შეცვლილა — 4,9-5,2 წამს შორის მერყეობდა. ჩემპიონატის ლიდერები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს და რიგ-რიგობით გადიოდნენ უსწრაფეს წრეებს.

პიტ-სტოპზე პირველი გერმანელი შევიდა და იქიდან მე-4-ზე დაბრუნდა. ერთი წრის შემდეგ ვილნევმაც მიაკითხა ბოქსებს და იქიდან ტრასაზე კულჰარდის უკან, მეხუთეზე გამოვიდა. ცოტა ხნით ფრენცენი ლიდერობდა, მან მოწინავეთა ჯგუფიც შეაჭიდროვა, მაგრამ ვილნევმა სხვაობის შემცირება შეძლო და მას შემდეგ, რაც ფრენცენისა და „მაკლარენის“ პილოტების პიტ-სტოპის შემდეგ კვლავ შუმახერს ჩაუდგა კვალში, ტემპსაც უმატა და სხვაობა 0,4 წამამდეც შეამცირა. ამასობაში ეს წყვილი ჩამორჩენილებსაც მიუახლოვდა. „ტირელის“ მრბოლელებმა უპრობლემოდ გაატარეს ჩემპიონობის მაძიებლები, „ზაუბერში“ კვლავ დაბრუნებულმა ფონტანამ კი ვილნევი შეაყოვნა და სხვაობა გერმანელსა და კანადელს შორის 3 წამამდე გაიზარდა. ვილნევს კვლავ მოუხდა დაკარგულის ანაზღაურება, რაც საკმაოდ კარგადაც მოახერხა — ეს დრო გაანახევრა. შემდეგ ლიდერები რალფ შუმახერს წამოეწივნენ, მან ძმა გაატარა, არც ჟაკი შეაფერხა და ორივეს ურთიერთობის გარკვევის საშუალება მისცა. პიტ-სტოპზე შუმი კვლავ პირველი შევიდა, ვილნევმა ერთი წრის შემდეგ შეივსო საწვავი, იქიდან ზუსტად გერმანელის უკან დაუბრუნდა ტრასას, მაგრამ იქვე კულჰარდმა გაასწრო. კანადელმა ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყო. ნელ-ნელა ამცირებდა ჩამორჩენას და მეტოქეს მესამედაც დაეწია, ხელსაყრელი მომენტი შეარჩია და 48-ე წრეზე მარჯვენა მოსახვევში შიგა მხრიდან შევიდა. შუმი ვვიან გამოეხიზლდა და მანაც შიგა მხრისკენ გადაინაცვლა, უკვე დაწინაურებულ ვილნევს მარჯვენა წინა ბორბლით შეეჯახა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. გერმანელმა რბოლის გაგრძელება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გაწბილებულმა მანქანა მიატოვა. ამ მომენტიდან ვილნევი, ფაქტობრივად, უკვე მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ, მას ექვსეულში მოხვედრაც აძლევდა ხელს და მხოლოდ ბოლიდის დაზიანებას შეეძლო მისი შეფერხება. კანადელი თავიდან რბოლას იმავე ტემპით აგრძელებდა, შემდეგ კი სისწრაფეს უკლო და „მაკლარენის“ ტანდემი წამოეწია. კულჰარდმა შეტევაც განიზრახა, მაგრამ ჩამორჩენილებმა შეუშალეს ხელი და თავად გახდა თანაგუნდელის მსხვერპლი. ბოლო წრეზე ჰაკინენი მიუახლოვდა ვილნევს და ამასაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე გაატარა პირველი გამარჯვების მაძიებელი, მალე კი მის თანაგუნდელსაც დაუთმო მეორე ადგილი. პოდიუმზე „მაკლარენის“ ბედნიერმა პილოტებმა ხელში აიტაცეს ახლგამომცხვარი კიდევ უფრო ბედნიერი ჩემპიონი.

ვილნევმა მთელი სეზონი კარგად ჩაატარა, 7 გამარჯვება და 10 პოული მოიპოვა და პირველი კანადელი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თანაც — ფორმულა 1-ში გატარებულ მეორე სეზონში, რაც ასევე ისტორიული ფაქტია.

ალეკო ბაბუკიანი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა-1
XVII ეტაპი
მეგროპის
დიდი პრიზი

რბოლის შედეგები
ევროპის დიდი პრიზი

26 ოქტომბერი. ხერესი. ესპანეთი

რბოლის დისტანცია

69 წრე — 305.532 კმ

1. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1:38.57,772 (185.240 კმ-სთ)
2. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 1.803 წამით
3. ვილნევი (უილიამს-რენო) 1.803
4. ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.919
5. ირვინი (ფერარი) 3.789
6. ფრენცენი (უილიამს-რენო) 4.537

საუკეთესო წრე:

ფრენცენი 1.23,135 (191,745 კმ-სთ) 30-ე წრე

ჩემპიონატის საბოლოო შედეგები:

პირადი პირველობა: 1. ვილნევი 81 ქულა (მსოფლიოს ჩემპიონი); 2. მ. შუმახერი 78; 3. ფრენცენი 42; 4-5. ალეზი, კულჰარდი 36-36; 6-7. ბერგერი, ჰაკინენი 27-27; 8. ირვინი 24; 9. ფიზიკელა 20; 10. პანი 16; 11. ჰერბერტი 15; 12. რ. შუმახერი 13; 13. ჰილი 7; 14. ბარიჩელო 6; 15. ვურცი 4; 16. ტრული 3; 17-19. სალო, ნაკანო, დინიცი 2-2; 20. ლარინი 1.

გუნდური პირველობა:

1. უილიამსი 123 ქულა (ჩემპიონი); 2. ფერარი 102; 3. ბენეტონი 67; 4. მაკლარენი 63; 5. ჯორდანი 33; 6. პროსტი 21; 7. ზაუბერი 16; 8. ეროუსი 9; 9. სტიუარტი 6; 10. ტირელი 2.

ჩემპიონი პორტუგალიისთვის ემზადება

ირაკლი ლაბაძე

ფოტო ბურნაშევის

ქალებისა არ იყოს, საქართველოს პირველობა ჩოგბურთში კაცებმაც წრიული სისტემით გაითამაშეს. საფინალო ტურნირში გამოსვლის უფლება მოიპოვეს ირაკლი ლაბაძემ, გივი სამხარაძემ, ლადო ჩიხლაძემ და ირაკლი უშანგიშვილმა. ხუთშაბათს, ასპარეზობის პირველ დღეს, ტურნირის ფავორიტმა ლაბაძემ მოუგო სეხნია უშანგიშვილს 6:2, 6:3, მის მთავარ კონკურენტად შერაცხულმა სამხარაძემ კი კიდევ უფრო იოლად დაამარცხა ჩიხლაძე 6:1, 6:3. მომდევნო დღეს, ბევრისთვის მოულოდნელად, 15 წლის ირაკლი უშანგიშვილმა დაძაბულ სამსეტიან მატჩში სამხარაძეს აჯობა 7:5, 3:6, 6:3, ლაბაძემ კი საქმე არც ჩიხლაძესთან გაიგრძელა 6:1, 6:4. შაბათს, უკანასკნელი შეხვედრების წინ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სამხარაძეს ლაბაძესთან ორ ხელში მოგების შემთხვევაში პირველი ადგილის დაკავება მაინც შეეძლო. მატჩი ორივე ჩოგბურთელმა საკმაოდ ნერვულად დაიწყო — 3:3-მდე ორჯერ გაცვალეს ბრეიკები, მაგრამ პირველი სეტის ბოლოს ყველა საჭირო ბურთის ჩაგდება ლაბაძემ მოახერხა და ზედიზედ სამი კეიმიც მოიგო. პირველი მოწოდების ჩაგდების მაჩვენებლებით მთელი მატჩის განმავლობაში არცერთი ჩოგბურთელი არ ბრწყინავდა, ამიტომ გათამაშებები საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. უკანა ხაზიდან გარკვეულ უპირატესობას ლაბაძე ფლობდა, რომელიც ქულებს არცთუ იშვიათად თავის ორხელა ბექჰენდის მხრიდან მძლავრი დარტყმებით იგებდა. მეორე ხელში ლაბაძემ ბადესთან გასვლას მოუხშირა, სადაც საკმაოდ ლამაზ და იოლ ბურთებს იგებდა, რადგან სამხარაძეს არც თავზე გადაგდებები გამოსდიოდა და არც შემოვლებები. პირველი სეტის მსგავსად 3:3-დან ისევ ირაკლიმ აიწყვიტა და მალე ანგარიში 5:3 გახდა, მაგრამ მომდევნო ორ გეიმში სამხარაძემ როგორც იქნა თავისი თავი იპოვა — თავის მოწოდებაზე ყველა პირველი ჩაგდო, უკან მობრუნებულ ბურთებს კი ისეთი აგრესიული ფორჰენდები მიაყოლა, მეტოქისთვის შანსი აღარ დაუტოვებია. კარგად ითამაშა მან ლაბაძის მოწოდებაზეც — ბოლოს და ბოლოს შემოვლებებიც წაუვიდა, ერთი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა და ანგარიში გაათანაბრა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ნაღდად მესამე სეტის მომსწრენი გავხდებოდით, მაგრამ სამხარაძემ ისევ პასიურობა დაიწყო, ბრეიკ-პოინტზე შემოკლებული დარტყმა გააფუჭა და მხოლოდ ღირსეულ წაგებას დასჯერდა 3:6, 5:7. საქართველოს ჩემპიონი ვაუებში, სავსებით დამსახურებულად, 16 წლის ირაკლი ლაბაძე გახდა, რომელსაც მთელი ტურნირის განმავლობაში ერთი ხელიც კი არ წაუგია და კოჭებზე ეტყობა, ჩოგბურთში გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია. მეორე ადგილი 15 წლის ირაკლი უშანგიშვილმა დაიკავა, რომელმაც ბოლო შეხვედრაში თანატოლი ლადო ჩიხლაძე დაამარცხა 6:3, 6:1. ირაკლი ძლიერად აწოდებს, სწრაფია და შესანიშნავი ფორჰენდი აქვს, კორტზე სიტუაციას ალღოს ყოველთვის სწორად უღებს, მოკლედ, დევისის თასის გუნდს, ალბათ, მალე ეშველება — წესით, გაბრიჩიძესა და კაჭარავას ღირსეული შემცვლელები უნდა გამოუჩნდნენ. მატჩების დასრულების შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. გამარჯვებულებს, ჩვენს პირობებს თუ გავითვალისწინებთ, არცთუ ურიგო თანხები და საჩუქრები გადასცეს. მანამდე კი საქართველოს ახალ ჩემპიონს — ირაკლი ლაბაძეს გავესაუბრე.

— ირაკლი, დღეს მაინცდამაინც არ წაგივიდა თამაში...

— ცოტა მხარი მაწუხებდა და იმიტომ, თან პირველი მოწოდებები არ გამომდიოდა.

— გაისად საქართველოს ნაკრებს პორტუგალიაში დევისის თასის შეხვედრა აქვს გასამართი.

— პორტუგალიელებთან აუცილებლად გამოვალ, ალბათ ერთეულებშიც და წყვილთა თანრიგშიც, მე და ვოვა გაბრიჩიძე საქართველოს პირველობა ამიტომ ვითამაშეთ ერთად. ისე, პორტუგალიელებზე, ფაქტიურად, არაფერი ვიცით.

— შენი საგაისო გეგმები როგორია?

— დიდი სლემის იუნიორთა ტურნირებში გამოვალ. იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე მივდივარ, მერე როლან გაროსზე და უმბლდონზეც, რამდენიმე დიდ იუნიორთა პირველობაზეც ვითამაშებ.

— პროფესიონალებში როდის უნდა გადახვიდე?

— ეგ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ვითამაშებ და რამდენად მოვუმატებ. გაისად, ალბათ, ერთ სატელიტზე მაინც გამოვალ ქულების დასაგროვებლად.

— როგორ საფარზე გირჩევნია თამაში?

— თიხნარზე, თბილისშიც და საზღვარგარეთაც უმეტესად ასეთზე ვვარჯიშობ.

— შენი საყვარელი ჩოგბურთელი...

— პატრიკ რაფტერი. წლევანდელ ამერიკის ღია პირველობაზე ნიუ იორკში მის მატჩებს დავესწარი. შთამბეჭდავად თამაშობს, თან სტილი აქვს ისეთი...

ავთანდილ სგანიძე

სარგებელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელეტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარტიშვილი, ბელა ხატაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

მეორე ქვეჯგუფში სიმშვიდეა

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
25 ოქტომბერი

მაკაბი 100:67 მერანი

მაკაბი: ხუხაშვილი (12), ანდღულაძე (4), იაშვილი (12), ტალაბაძე (19), ახალკაცი (22), რიფინაშვილი (4), ტაბატაძე (11), ფერიაშვილი (18), შველიძე
მერანი: მარხვაშვილი (1), ჩაჩუა (9), ჩავლეიშვილი (22), ბარბაქაძე (3), მჭედლიშვილი (13), სანიკიძე (4), ღვინიაშვილი (8), კობიძე (4), მთვარაძე (3), ფანჯიკიძე, გოცაძე, ღარიბაშვილი

„მერანის“ ახალგაზრდულ გუნდს გაუჭირდა გამოცდილ მაკაბელთა გამკლავება და მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც „მაკაბმ“ 16 ქულით მოიგო 47:31.

თსუ 82:55 რიონი

თსუ: ყღენტი (10), ცხვედიანი (8), წოწელია (20), ბაბიაშვილი (14), ნიჟარაძე (4); გელაშვილი 18), სპარსიაშვილი (5), კიკაბიძე (1), ნიკოლაძე (4), ქარჩავა (2), მარკოიშვილი (6)
რიონი: წერეთელი, ჭეიშვილი (7), შანიძე (4), ჯალაღონია (16), ნაცვლიშვილი (20), ბერიკაშვილი (2), კენჭაძე (2), შალიკიანი (2), ღიბრაძე, ჩიკვაშვილი (2), მეავია.

ქუთაისელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა უნივერსიტეტელებს, ტაიმის ბოლოს 6 ქულამდეც შეამცირეს სხვაობა. მეორე ნახევრის დასაწყისში ბაბიაშვილის სამი შედეგიანი გასვლის შემდეგ თსუ 14 ქულით დაწინაურდა და ისე მოიგო თამაში, მეორე ტაიმში ყღენტი და ცხვედიანი აღარც დასჭირვებია.

დინამო 121:70 ასკ

დინამო: მაისურაძე (10), ხოშტარია (14), კილაძე (32), ბეჟანიშვილი (15), ნინიაშვილი (13), ჩიქოვანი (9), თორთლაძე (5), ნათაძე (8), შანიძე (11), მეჭურჭლიშვილი (5)
ასკ: ქართველიშვილი (20), ჩხაიძე (12), მინაშვილი (8), თაბუაშვილი (4), დ. მოისწრაფიშვილი (1), იშხნელი (2), ა. მოისწრაფიშვილი (1), ვაშაკიძე (9), ჭყონია (5), აკოლაშვილი (7), პაპასკირი

პირველობაში კიდევ ერთი ფავორიტი ჩაება. დინამოელებს ბოლო მომენტში ვითელი თორთლაძეც შეემატათ და მიუხედავად იმისა, რომ არმიელებმა სერიოზული მეტოქეობა ვერ გაუწიეს, ასეთი შეხვედრის კვალობაზე „დინამომ“ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. გამოცდილ მოთამაშეთა მთელი ჯგუფის წასვლის შემდეგ მათი ადგილი ახალგაზრდებმა დაიკავეს, ისინი შარშან ძალზე ცოტა დროს ატარებდნენ მოედანზე, ახლა კი „დინამო“ ნაცად ლიდერებთან მათ შეთამაშებას ცდილობს და პირველ მატჩში ამის კონტურებიც გამოისახა. ყოველ შემთხვევაში, პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება ასეთია — დინამოელები კვლავ იბრძოლებენ მაღალი ადგილისთვის. რაც შეეხება თამაშს, მისი ბედი პირველივე ტაიმის შუახანს გადაწყდა.

26 ოქტომბერი
მეხუთე ტურის შეხვედრა

ასკ 102:78 რიონი

ასკ: ქართველიშვილი (17), დ. მოისწრაფიშვილი (8), მინაშვილი (11), თაბუაშვილი (5), ჩხაიძე (10); პაპასკირი (15), რაზმაძე (10), ვაშაკიძე (8), ჭყონია (20), აკოლაშვილი
რიონი: წერეთელი (5), ჭეიშვილი (10), შანიძე (2), ჯალაღონია (6), ნაცვლიშვილი (37); ბერეკაშვილი (4), კენჭაძე (1), დარახველიძე (4), შალიკიანი (1), ჩიკვაშვილი (8), ღიბრაძე

ეს მატჩი 30 ოქტომბრისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ქუთაისის გუნდისთვის დედაქალაქში გატარებული ყოველი ზედმეტი დღე დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და ამიტომ სადღესასწაულო დღეს — თბილისობას გაიმართა.

ჯერჯერობით ამ ჯგუფში ყველა თამაში მშვიდად და წყნარად მიმდინარეობს, რადგან ერთ გუნდს მეორეზე იმდენად აშკარა უპირატესობა აქვს, სადავო აღარაფერია. ასე იყო ამჯერადაც. არმიელები თავდანვე საკმაოდ დაწინაურდნენ, მეხუთე წუთისთვის 20:8-ს იგებდნენ, ტაიმი კი 18 ქულით მოიგეს.

მეორე ნახევარი ფორმალობა იყო და არმიელებმაც სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ქუთაისელთაგან მხოლოდ ნაცვლიშვილმა იბრძოლა თავგამოდებით და 37 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

დღეს, 27 ოქტომბერს, ქვეჯგუფებში მესამე ტურის მატჩები გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან:

12.00 მერანი — რიონი
13.45 დინამო — მაკაბი
15.30 აზოტი — ასკ

ძოტე მგალობლიშვილი